186
1982/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 2

მარტი — აპრილი

1982 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 2 მარტი—აპრილი 1982 წ.

შინაარსი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება

20. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1980 წლის 25 ნოემბრის № 822 დადგენილებით დამტკიცებულ დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

21. საქართველოს სს რესპუბლიკაში სამონადირეო აღკვეთილების დებულების დამტკიცების შესახებ
22. ტყეებში ტურისტული ბანაკების. დასასვენებელი ბაზებისა და სხვა ობიექტების განლაგების ნებართვის მიცემის წესის შესახებ
23. საპროექტო-საძიებო სამუშაოთა ხუთწლიანი გეგმების შემადგენლობაში საწარმოო დანიშნულების მშენებლობებისათვის შესამუშავებელი პროექტების ნუსხების დამტკიცების წესის შესახებ
24. საქართველოს ყრუთა საზოგადოების დებულების დამტკიცების შესახებ
25. რესპუბლიკის მსხვილი რქოსანი პირუტყვის გამოსაზრდელ-სასუქებელ საბჭოთა მეურნეობა-კომპლექსებსა და სამეურნეობათაშორისო კომპლექსებში მსხვილი რქოსანი პირუტყვის მოზარდეულის შესყიდვის ფასების სრულყოფის შესახებ

ბ. ბიბლიოთ. საბ. ს. ს. ს. ს. ს. ს.
საქართველოს ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

26. საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს რესპუბლიკური აგრარულ-სამრეწველო-სავაჭრო სამეურნეოთაშორისო გაერთიანება „ტყის ნობათის“ შექმნის შესახებ
27. ქ. თბილისის ლენინის რაიონსა და ზესტაფონის რაიონში მშობელთა საზოგადოების ცდის წესით შექმნის შესახებ
28. საგარეჯოსა და მცხეთის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოების მეურნეობების გაძღოლის ახალ სისტემაზე გადაყვანის შესახებ
29. „მშენებლობაში დასაქმებულ მუშაკთათვის ხელფასის მისაცემი სახსრების გაცემის წესის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 11 მარტის № 192 დადგენილების თაობაზე
30. საფუტკრეების სამთაბაროდ გადატანის წესების დამრღვევთა პასუხისმგებლობის შესახებ
31. საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბის შესახებ დებულების გამოყენების წესების დამტკიცების შესახებ
32. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 27 იანვრის № 59 დადგენილებით დამტკიცებულ დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ
33. საქართველოს სს რესპუბლიკაში ნადირობისა და სამონადირეო მეურნეობის დებულების დამტკიცების შესახებ.
34. „საქართველოს სს რესპუბლიკაში სპეციალური წყალსარგებლობის ნებართვის შეთანხმებისა და გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლი 18 იანვრის № 31 დადგენილებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება

20 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1980 წლის 25 ნოემბრის № 822 დადგენილებით დამტკიცებულ დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული არქეოლოგიური ძეგლების დაცვის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო ადგენენ:

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1980 წლის 25 ნოემბრის № 822 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სს რესპუბლიკაში კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობის მოსაწყობად მიწის ნაკვეთების შერჩევისა და გამოყოფის წესის შესახებ“ დებულების პირველი პუნქტის პირველი ქვეპუნქტის მეორე აბზაცში სიტყვების: „საქართველოს სსრ მებაღეობის ამხანაგობათა (კოოპერატივთა) მუშაობის საკოორდინაციო საბჭოს (აგროკოოპის)“ შემდეგ დაემატოს სიტყვები: „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის“.

2. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრომ კოლექტიური მებაღეობისათვის მიწის ნაკვეთების შერჩევა-გამოყოფის პროცესში მყოფი ის მასალები, რომლებიც უკვე განხილულია შესაბამისი რაიონების (ქალაქების) სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების მიერ და წარდგენილია მათთან განსახილველად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში საკითხის შემოტანამდე შეუთანხმონ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჭითანავა.**	საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე **თ. მოსაშვილი**

ქ. თბილისი, 1982 წ. 20 აპრილი, № 279

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

21 საქართველოს სს რესპუბლიკაში სამონადირეო აღკვეთილების დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სს რესპუბლიკაში სამონადირეო აღკვეთილების შესახებ.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს მე-2 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 24 აპრილის № 253 დადგენილებისა „საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ ტერიტორიაზე სამონადირეო მეურნეობის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1982 წ. 9 მარტი, № 161

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1982 წლის 9 მარტის № 161 დადგენილებით

დებულება

საქართველოს სს რესპუბლიკაში სამონადირეო აღკვეთილების შესახებ

1. საქართველოს სს რესპუბლიკაში სამონადირეო აღკვეთილები ეწყობა ძვირფასი, იშვიათი და გადაშენების საფრთხეში მყოფი სამონადირეო ფაუნის შენარჩუნებისა და გამრავლების მიზნით.

2. სამონადირეო აღკვეთილები ეწყობა არანაკლებ 10 წლის ვადით არანაკლებ 500 ჰექტარ ფართობზე.

3. სამონადირეო აღკვეთილის მოსაწყობი ნაკვეთი განისაზღვრება და მტკიცდება სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს სამონადირეო მეურნეობის მთავარ სამმართველოსთან წინასწარი შეთანხმებით.

4. სამონადირეო აღკვეთილების დაცვას მუდმივი შემომვლელების — მეთვალყურეების მეშვეობით ახორციელებენ: სახელმწიფო ტყის ფონდის ფართობებზე — საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრო, ხოლო საკოლმეურნეო ტყეებში და უტყეო ფართობებზე — სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომები ამ მუშაობაში მონადირეთა რაიონული საზოგადოებებისა და მონადირეობის საზოგადოებრივი ინსპექტორების მიზიდვით.

5. აღკვეთილში აკრძალულია:

ა) ყოველგვარი ნადირობა;

ბ) თევზის ჭერა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. აღკვეთილში ნებადართულია:

ა) ორგანიზებული ნადირობა მხოლოდ და მხოლოდ მავნებელ მტაცებელ ნადირზე (მგელი, ტურა, გარეული კატა, მელა, ენოტისებრი ძაღლი, აგრეთვე მაწანწალა ძაღლი) ყოველთვის საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს განსაკუთრებული ნებართვით;

ბ) გეგმიან სატყეო-სამეურნეო ღონისძიებათა განხორციელება;

გ) მიწების გეგმიანი მოხვნა, თიბვა და გეგმით გათვალისწინებულ სხვა ღონისძიებათა განხორციელება.

7. აღკვეთილის ტერიტორიაზე სანადირო თოფით, ჭერის იარაღებითა და ძაღლებით ყოფნა კატეგორიულად აკრძალულია და ბრაკონიერობას უთანაბრდება.

8. აღკვეთილი შემოსაზღვრული უნდა იყოს ნატურაში ბოძებით გამოსაცნობი ნიშნებითა და პლაკატებით, სადაც ჩამოთვლილი უნდა იყოს აკრძალვები ამ დებულების მე-5 პუნქტის თანახმად.

9. აღვეთილს განაგებენ საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველო და სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომი, რომელთა ნებართვით მასში ხორციელდება ძვირფასი სამონადირეო ფაუნის დაცვისა და გამრავლების ყველა ღონისძიება ამ მუშაობაში სამეცნიერო და სამონადირეო ორგანიზაციების მიზიდვის გზით.

---

22 ტყეებში ტურისტული ბანაკების, დასასვენებელი ბაზებისა და ობიექტების განლაგების ნებართვის მიცემის წესის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაწესდეს, რომ საწარმოების, დაწესებულებების, უმაღლესი და საშუალო სასწავლებლების, სკოლებისა და სხვა ორგანიზაციების კოლექტივებმა, რომელთაც მწვანე ზონის ტყეებში ტყის ნაკვეთები მიჩენილი აქვთ დადგენილი წესის შესაბამისად, ამ ნაკვეთებზე ხანმოკლე მასობრივი დასვენების კომპლექსები და ტურისტული ბანაკები უნდა განალაგონ და მოაწყონ ქალაქის (რაიონის) მთავარ არქიტექტორთან, სანეპიდსადგურთან და ტყის მფლობელ ორგანიზაციასთან (ვინც მიუჩინა ნაკვეთი) შეთანხმებული საპროექტო დავალებით შედგენილი ტექნიკური პროექტის მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სახმშენმა დააწესოს მუდმივი კონტროლი ამ დადგენილების განუხრელად შესრულებისადმი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი. 1982 წ. 9 მარტი. № 163

23 საპროექტო-საძიებო სამუშაოთა ხუთწლიანი გეგმების შემადგენლობაში საწარმოო დანიშნულების მშენებლობებისათვის შესამუშავებელი პროექტების ნუსხების დამტკიცების წესის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის წინადადება და დაწესდეს, რომ საპროექტო-საძიებო სამუშაოთა ხუთწლიანი გეგმების შემადგენლობაში ახალასაშენებელი, სარეკონსტრუქციო და გასაფართოებელი საწარმოო დანიშნულების მშენებლობებისათვის შესამუშავებელი პროექტების ნუსხებს დაამტკიცებენ:

— თუ სახარჯთაღრიცხვო ღირებულებაა 1 მილიონი მანეთიდან 3 მილიონ მანეთამდე — საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი;

— თუ სახარჯთაღრიცხვო ღირებულებაა 1 მილიონ მანეთამდე — რესპუბლიკის სამინისტროები და უწყებები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველო, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქ თბილისისა და ქალაქ ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი. 1982 წ. 9 მარტი, № 165

ეროვნული ბიბლიოთეკა

24 საქართველოს ყრუთა საზოგადოების დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს დებულება საქართველოს ყრუთა საზოგადოების შესახებ.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 22 ივნისის № 353 დადგენილებით დამტკიცებული დებულება საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1982 წ. 22 მარტი, № 199

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1982 წლის 22 მარტის № 199 დადგენილებით

დებულება

საქართველოს ყრუთა საზოგადოების შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს ყრუთა საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს საზოგადოებრივ ორგანიზაციას, შექმნილია საქართველოს სსრ კონსტიტუციის 49-ე მუხლის შესაბამისად და მოქმედებს ამ დებულების, აგრეთვე იმ წესდების საფუძველზე, რომელსაც მიიღებს საზოგადოების ყრილობა და დაამტკიცებს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო.

2. საქართველოს ყრუთა საზოგადოების ამოცანას წარმოადგენს ყრუ და სმენადაქვეითებულ მოქალაქეთა გაერთიანება, რათა დააწაფოს ისინი საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომითს საქმიანობას, გააუმჯობესოს კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურება, ხელი შეუწყოს მათი იდეურ-პოლიტიკურ, ზოგადსაგანმანათლებლო და ტექნიკური დონის ამაღლებას და ჩააბას ისინი კომუნისტური საზოგადოების აქტიურ მშენებელთა რიგებში.

3. ამ ამოცანის განსახორციელებლად საქართველოს ყრუთა საზოგადოება:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მიიზიდავს ყრუ და სმენადაქვეითებულ მოქალაქეებს საზოგადოების წევრებად;

— მიიღებს ზომებს, რათა ჩააბას ყრუ და სმენადაქვეითებული პირები საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომითს საქმიანობაში, რისთვისაც დაეხმარება მათ საწარმოო კვალიფიკაციისა და სპეციალობის მიღებაში, შრომითს მოწყობაში საზოგადოების სასწავლო-საწარმოო წამოწყებებსა და ორგანიზაციებში, აგრეთვე სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებსა და სოფლის მეურნეობაში;

— გაშლის პოლიტიკურ-აღმზრდელობითს, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას ყრუ და სმენადაქვეითებულ პირებს შორის და ხელს შეუწყობს მათ ზოგადი, საშუალო და უმაღლესი განათლების მიღებაში;

— მიიღებს ზომებს თანამედროვე კონსტრუქციის სასმენი აპარატების, ისეთი სპეციალური მოწყობილობებისა და ხელსაწყოების შეძენა-დანერგვისათვის, რომლებიც აფართობენ ყრუ და სმენადაქვეითებულ მოქალაქეთა საწარმოო და კულტურულ შესაძლებლობებს;

— მატერიალური სახსრებით ხელს შეუწყობს ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს სრულყოფილი გახადონ სამედიცინო დახმარება და გაშალონ ფართო სანიტარიულ-პროფილაქტიკური მუშაობა სიყრუის თავიდან აცილებისათვის;

— ჩამოაყალიბებს საზოგადოების გაერთიანებათა ადგილობრივ განყოფილებებსა და პირველადს ორგანიზაციებს;

— შექმნის სასწავლო-საწარმოო წამოწყებებს, ცალკეულ საამქროებს, სარემონტო-სამშენებლო საწარმოებსა და ბაზებს თავისი სასწავლო-საწარმოო წამოწყებების მოსამარაგებლად და დაუმტკიცებს მათ წესდებას;

— მოაწყობს ამ სისტემაში შემავალ მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებსა და სემინარებს;

— გახსნის კულტურის სახლებს, კლუბებს, წითელ კუთხეებს, ფიზკულტურულ და სპორტულ მოედნებს;

— ააშენებს საცხოვრებელ სახლებს, საწარმოო შენობებს, საერთო საცხოვრებლებს, სანატორიუმებს, ინტერნატებს;

— მოაწყობს საზოგადოების წევრთა და მათი ოჯახების დასასვენებელ ბაზებსა და პიონერთა ბანაკებს;

— შექმნის დამხმარე მეურნეობებს, სასადილოებსა და სხვა საწარმოებს ყრუთა საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის.

4. საქართველოს ყრუთა საზოგადოება თავის საქმიანობას განახორციელებს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს საერთო მეთვალყურეობითა და კონტროლით, ამასთან დაგეგმვის, ნედლეულის, მოწყობილობის გამოყოფის, აგრეთვე სხვა საწარმოო საკითხებს გადაწყვეტს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით.

საქართველოს ყრუთა საზოგადოების ადგილობრივი ორგანოები თავიანთ საქმიანობას განახორციელებენ საზოგადოების ზემდგომი ორგანოების ხელმძღვანელობით, აგრეთვე საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამინისტროს შესაბამისი ადგილობრივი ორგანოების საერთო მეთვალყურეობ-
ბითა და კონტროლით.

5. საქართველოს ყრუთა საზოგადოება, მისი ადგილობრივი ორგანოები
და სასწავლო-საწარმოო წამოწყებები სარგებლობენ იურიდიული პირის უფ-
ლებებით და დამოუკიდებლად არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულე-
ბათა გამო საკუთარი ქონებით კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში.

6. საქართველოს ყრუთა საზოგადოების გამგეობა და მისი ადგილობ-
რივი ორგანოები გამოდიან საზოგადოებისა და მისი წევრების საქმეთა წარ-
მომადგენლებად ცენტრალურ და ადგილობრივ სახელმწიფო, კოოპერაციულ
და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში.

II. საქართველოს ყრუთა საზოგადოების საქმეთა მმართველობა

7. საქართველოს ყრუთა საზოგადოების მმართველობისა და კონტროლის
ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოები შეიქმნება და მოქმედებენ იმ
საფუძველზე, რომლებსაც საზოგადოების წესდება განსაზღვრავს.

8. საქართველოს ყრუთა საზოგადოების მთელი მუშაობის დაფინანსება
ხდება საზოგადოების საკუთარი სახსრებიდან.

საქართველოს ყრუთა საზოგადოების სახსრები იხარჯება საზოგადოების
ამოცანების შესაბამისად სახარჯთაღრიცხვო-საფინანსო გაანგარიშებათა და სა-
ზოგადოების მუშაობის გეგმების მიხედვით

საქართველოს ყრუთა საზოგადოების შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრი-
ცხვას დაამტკიცებს საზოგადოების გამგეობის პლენუმი, ხოლო საქართველოს
ყრუთა საზოგადოების გამგეობის აპარატის ადმინისტრაციულ-სამმართველო
ხარჯების ხარჯთაღრიცხვას და მისი შესანახი ხარჯების ზღვრულ ასიგნებას
დაამტკიცებს საზოგადოების გამგეობის პლენუმი და რეგისტრაციას საფინანსო
ორგანოებში არ ექვემდებარება.

9. საქართველოს ყრუთა საზოგადოების მმართველობის ცენტრალური
ორგანოები (გამგეობა, მისი პრეზიდიუმი და პრეზიდიუმის ხელმძღვანელობა)
საზოგადოების საქმიანობას წარმართავენ ამ დებულების და საზოგადოების
წესდების შესაბამისად, ასრულებენ წესდებით მათთვის დაკისრებულ ფუნქ-
ციებს და უფლება აქვთ:

— დაამტკიცონ საწარმოთა, მშენებლობათა და სხვა ორგანიზაციათა
სტრუქტურა და ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის შტატები საზო-
გადოებისათვის დაწესებული ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატის შე-
სანახი ზღვრული ასიგნების ფარგლებში მოქმედი თანამდებობრივი განაკვე-
თების სქემების დაცვით;

— საზოგადოების საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის შრომის გეგ-
მის განაწილების დროს თავიანთ განკარგულებაში დაიტოვონ მუშაკთა რიც-
ხვისა და ხელფასის ფონდის 2 პროცენტამდე რეზერვი;

— შექმნან გაერთიანებებსა და სასწავლო-საწარმოო წამოწყებებში მათი-
ვე დაგროვებისა და კაპიტალური მშენებლობისათვის განკუთვნილი საამორ-
ტიზაციო ანარიცხების ნაწილის ხარჯზე ეკონომიკური სტიმულირების ფონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დები (მატერიალური წახალისების ფონდი, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდი და წარმოების განვითარების ფონდი), ასევე ანალოგიური ცენტრალიზებული ფონდები საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმთან და გამოიყენონ მოქმედი დებულების შესაბამისად, მათ შორის აღნიშნული პრეზიდიუმის მუშაკთა პრემიებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად;

— გასწიონ ხელფასის ფონდის 0,05 პროცენტამდე ხარჯი საზოგადოების სისტემის იმ მუშაკთა პრემირებისათვის, რომლებმაც მნიშვნელოვანი დავალებები შეასრულეს, აგრეთვე ერთდროული დახმარების გაცემა იმ ორგანიზაციათა გამოკლებით, რომელთა მუშაკებისათვის შემოღებულია პრემირების სხვა წესი;

— დაამტკიცონ მშენებლობათა ტექნიკური პროექტები და ხარჯთაღრიცხვები, აგრეთვე იმ მშენებლობის საპროექტო დავალებები და სახარჯთაღრიცხვო-საფინანსო გაანგარიშებანი, რომლებიც ხორციელდება დადგენილი წესით დამტკიცებული ტიპობრივი პროექტებისა და განმეორებითი გამოყენების პროექტების მიხედვით;

— საჭიროების შემთხვევაში შეიტანონ დაზუსტებანი მშენებლობათა საპროექტო დავალებებსა და სახარჯთაღრიცხვო-საფინანსო გაანგარიშებებში, გარდა მთავრობის მიერ დამტკიცებული ძირითადი მაჩვენებლებისა;

— დანიშნონ კომისიები საწარმოებისა და საცხოვრებელი სახლების საექსპლუატაციოდ მისაღებად, აგრეთვე დახურონ საქართველოს ყრუთა საზოგადოების ზელიმიტური მშენებლობის ობიექტების ხარჯთაღრიცხვები და სახარჯთაღრიცხვო-საფინანსო გაანგარიშებანი;

— გადაანაწილონ საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის საკუთარი ზედმეტი საბრუნავი საშუალებანი კვარტალური ბალანსების მიხედვით, რის შესახებაც წარადგინონ ბანკში პრეზიდიუმის დადგენილებანი, ბრძანებები (განკარგულებები), რომელთა შესრულება ბანკის მიერ სავალდებულოა;

— მოქმედი კანონმდებლობის დაცვით გადაანაწილონ გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ზედმეტი და გამოუყენებელი მასალები, მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებანი, სხვა მატერიალური ფასეულობანი და ნება დართონ მათი რეალიზაციისა, აგრეთვე გადასცენ ფონდები ან მისცენ დაწესებული ნორმების მიხედვით თავიანთი არსებული რესურსებიდან მასალები და წვრილმანი მაკომპლექტებელი მოწყობილობანი საკავშირო, საკავშირო-რესპუბლიკურ, ადგილობრივი მრეწველობის ორგანიზაციებს აუცილებელი პროდუქციის დასამზადებლად, ხელშეკრულებების თანახმად;

— მოქმედი კანონმდებლობის დაცვით განიხილონ და დაამტკიცონ მათდამი დაქვემდებარებული საწარმოების მიერ გამოსაშვებ ნაკეთობათა ტექნიკური პირობები, რომლებზედაც არ არსებობს სახელმწიფო სტანდარტები, სარესპუბლიკათაშორისო და რესპუბლიკური ტექნიკური პირობები, ამასთან აუცილებლად შეუთანხმონ ტექნიკურ პირობებს, რაც დადგენილია მოქმედი ინსტრუქციით „სამრეწველო პროდუქციის ტექნიკური პირობების შემუშავებისა და დამტკიცების წესის შესახებ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III. საქართველოს ყრუთა საზოგადოების წევრები

10. საზოგადოების წევრთა მიღებისა და გარიცხვის წესი, მათი უფლებამოვალეობანი, შესასვლელი და საწევრო შენატანების გადახდევინების წესი და მათი ოდენობა განისაზღვრება საქართველოს ყრუთა საზოგადოების წესდებით.

IV. საქართველოს ყრუთა საზოგადოებისათვის მინიჭებული შეღავათები და უპირატესობანი

11. საქართველოს ყრუთა საზოგადოების გაერთიანებების, სასწავლო-საწარმოო წამოწყებების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების, აგრეთვე შენობებისა და ნაგებობების სახელმწიფო ორგანიზაციებისათვის გადაცემის შემთხვევაში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 8 დეკემბრის № 840 დადგენილების მე-5 პუნქტის შესაბამისად ამ გაერთიანების, წამოწყების, ორგანიზაციისა და დაწესებულების მთელი ქონება, აგრეთვე ცალკეული შენობები და ნაგებობანი, გადაეცემა საფასურით.

12. საშემოსავლო გადასახადიდან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 1 მარტის № 208 დადგენილების შესაბამისად თავისუფლდებიან:

— საქართველოს ყრუთა საზოგადოების კულტურის სახლები და სასახლეები, კლუბები და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები;

— სტადიონები, საცურაო აუზები, წყალჯომარდობის სადგურები და სხვა სპორტულ საწარმოში — ის შემოსავალი, რაც მიღებულია ფასიან სპორტულ ღონისძიებათა ჩატარების შედეგად.

— საქართველოს ყრუთა საზოგადოების ახალშექმნილი საწარმოები (ცალკეული საამქროები), რომლებიც ამზადებენ სახალხო მოხმარების საგნებს საქონლის ნარჩენებისა და ადგილობრივი ნედლეულისაგან (შესასყიდ ფასებში დამზადებული სასოფლო მეურნეობის ნედლეულის ჩათვლით), გარდა ღვინისა და არაყის, აგრეთვე თამბაქოსა და თამბაქოს ნაწარმისა და სპირტის შემცველი საპარფიუმერიო-კოსმეტიკური ნაწარმისა — ამ საწარმოთა (საამქროთა) საექსპლუატაციოდ გადაცემის დღიდან ორი წლის განმავლობაში.

ეს შეღავათი ეძლევათ იმ პირობით, თუ საქონლის გამოშვებისათვის დახარჯული სრულფასოვანი მასალებისა და ნედლეულის ღირებულება არ აღემატება აღნიშნული საქონლის წარმოებისათვის დახარჯული მასალებისა და ნედლეულის საერთო ღირებულების 25 პროცენტს.

13. საქართველოს ყრუთა საზოგადოების საწარმოები და ორგანიზაციები თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადების იმ მოგებიდან, რომელსაც ნებაყოფლობით გადასცემენ სახელმწიფო საჭიროებისათვის, ხოლო ანგარიშსწორებას ახორციელებენ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 30 მაისის № 380 დადგენილების შესაბამისად.

14. საქართველოს ყრუთა საზოგადოება, მისი ადგილობრივი გაერთიანებები, სასწავლო-საწარმოო წამოწყებები და კულტურულ-საგანმანათლებლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწესებულებები თავისუფლდებიან ადგილობრივი გადასახადებისაგან და მიწის რენტის გადახდისაგან, აგრეთვე სათავსების საიჯარო ქირისაგან.

15. საქართველოს ყრუთა საზოგადოებას, მის გაერთიანებებსა და სასწავლო-საწარმოო წამოწყებებს ეძლევათ უპირატესობა ნედლეულით, ძირითადი და დამხმარე მასალებით მომარაგებაში და უფლება აქვთ პირველ რიგში მიიღონ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არსებულ სამრეწველო საწარმოთა ნარჩენები.

---

25 რესპუბლიკის მსხვილი რქოსანი პირუტყვის გამოსაზრდელ-სასუქებელ საბჭოთა მეურნეობა-კომპლექსებსა და სამეურნეობათაშორისო კომპლექსებში მსხვილი რქოსანი პირუტყვის მოზარდეულის შესყიდვის ფასების სრულყოფის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინადადება და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოზარდეულის მიყიდვით საზოგადოებრივი მეურნეობებისა და მოსახლეობის დაინტერესების გაძლიერების მიზნით დაწესდეს რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის გამოსაზრდელ-სასუქებელ საბჭოთა მეურნეობა-კომპლექსებსა და სამეურნეობათაშორისო კომპლექსებში მოსახლეობისა და საზოგადოებრივი მეურნეობებისაგან შესაძენი მოზარდეულის შესასყიდი ფასები შემდეგი ოდენობით: 15-20 დღის 50 კილოგრამამდე წონის ხბოს (ზაქის) 1 კილოგრამი—4 მანეთი, 20 დღეზე მეტი ხნის 50-დან-150 კილოგრამამდე სახარის (სახარე ზაქის) 1 კილოგრამი —„ 3 მანეთი, ხოლო შემდგომი კვლავწარმოებისათვის უვარგისი საფურის (საფურე ზაქის) 1 კილოგრამი — 2,6 მანეთი.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 18 ივნისის № 414 დადგენილების 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ მოზარდეულის მიმწოდებელ რაიონებს დაემატოს თეთრი წყაროს რაიონი, რომელიც ჯანდარის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის გამოსაზრდელ-სასუქებელ საბჭოთა მეურნეობა-კომპლექსს წელიწადში გადასცემს ორი ათას სულ მოზარდეულს.

3. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შეიტანონ შესაბამისი ცვლილებანი თეთრი წყაროს რაიონში ხორცის წარმოებისა და დამზადების და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობის გეგმებში იმასთან დაკავშირებით, რომ თეთრი წყაროს რაიონი ჯანდარის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის გამოსაზრდელ-სასუქებელ საბჭოთა მეურნეობა-კომპლექსს გადასცემს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოზარდეულის ამ დადგენილებით გათვალისწინებულ რაოდენობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 8 აგვისტოს № 565 დადგენილების მე-2 პუნქტი და 1979 წლის 18 ივნისის № 414 დადგენილების მე-5 პუნქტი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1982 წ .22 მარტი, № 200

26 საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს რესპუბლიკური აგრარულ-სამრეწველო-სავაჭრო სამეურნეოანგარიშიანი გაერთიანება „ტყის ნობათის“ შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრომ გარკვეული მუშაობა განახორციელა სასურსათო პროგრამის გადაჭრის საქმეში ახალი ეკონომიკური რეზერვების მოქცევის შესახებ სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის მითითებათა რეალიზაციისათვის და დადებითი გამოცდილება შეიძინა.

რესპუბლიკური სასურსათო პროგრამის რეალიზაციისათვის ტყის რესურსების უფრო სრულად გამოყენების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს წინადადება მის სისტემაში რესპუბლიკური აგრარულ-სამრეწველო-სავაჭრო სამეურნეოანგარიშიანი გაერთიანება „ტყის ნობათის“ შექმნის შესახებ, რაც შეთანხმებულია საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან.

2. სამუშაოთა მოცულობის გადიდებასთან და რესპუბლიკური აგრარულ-სამრეწველო-სავაჭრო სამეურნეოანგარიშიანი გაერთიანება „ტყის ნობათის“ შექმნასთან დაკავშირებით შემოღებულ იქნეს საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის საშტატო განრიგში მინისტრის მოადგილის — რესპუბლიკური აგრარულ-სამრეწველო-სავაჭრო სამეურნეოანგარიშიანი გაერთიანება „ტყის ნობათის“ თავმჯდომარის თანამდებობა საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს ცენტრალური აპარატისათვის დამტკიცებული საშტატო რიცხოვნობის, ხელფასის ფონდისა და მმართველობის აპარატის შენახვის ასიგნებათა ფარგლებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადიდდეს საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის სამსახურებრივი მსუბუქი ავტომობილების შენახვის ლიმიტი სამინისტროს სისტემისათვის დაწესებული ლიმიტის ფარგლებში.

3. საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრომ ერთი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად დებულება რესპუბლიკური აგრარულ-სამრეწველო-სავაჭრო სამეურნეოანგარიშიანი გაერთიანება „ტყის ნობათის“ შესახებ.

4. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა (ამხ. ქართველიშვილი) გადაწყვიტოს სახალხო მოხმარებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონლის გამოშვების გასაფართოებლად და კომპლექს „ტყის ნობათის“ ასაშენებლად საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს განაცხადების მიხედვით ჩარხების, მოწყობილობის, ქვაბების, მერქნის, საშენი მასალებისა და რკინის გამოყოფის საკითხი.

5. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა გადაწყვიტოს რესპუბლიკური აგრარულ-სამრეწველო სავაჭრო სამეურნეოანგარიშიანი გაერთიანება „ტყის ნობათისათვის“ სადგომის გამოყოფის საკითხი.

6. საქართველოს სსრ ფასების სახელმწიფო კომიტეტმა საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროსთან ერთად განიხილოს გადიდებული შესასყიდი და საცალო ფასების დაწესების საკითხი, რაც უზრუნველყოფს საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს დამხმარე სასოფლო მეურნეობისა და ტყის თანაპროდუქციის წარმოების რენტაბელობას.

7. სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურმა კანტორამ გამოყოს კრედიტი კომპლექს „ტყის ნობათის“ მშენებლობისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1982 წ. 25 მარტი, № 204

27 ქ. თბილისის ლენინის რაიონსა და ზესტაფონის რაიონში მშობელთა საზოგადოებების ცდის წესით შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს წინადადება მოზარდი თაობის იდეურ-პოლიტიკურ და ზნეობრივ აღზრდაში სკოლის, ოჯახის, საზოგადოებრიობის მუშაობის კოორდინირების, ამ საქმეში მშობელთა როლისა და პასუხისმგებლობის ამაღლების მიზნით ქ. თბილისის ლენინისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ზესტაფონის რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებსა ცდის წესით მშობელთა საზოგადოებების შექმნის შესახებ.

2. დამტკიცდეს მშობელთა საზოგადოების თანდართული სანიმუშო წესდება.

3. მშობელთა საზოგადოებების ნორმალური ფუნქციონირებისათვის ამ საზოგადოების საბჭოს პრეზიდიუმის განთავისუფლებულ მუშაკთა საშტატო განრიგი დამტკიცდეს დანართის თანახმად. მათი თანამდებობრივი განაკვეთები დროებით, სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებამდე, დაწესდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტისა და საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნოს 1977 წლის 23 დეკემბრის № 439/24 დადგენილებით ბუნების დაცვის საზოგადოების საბჭოს მუშაკებისათვის დამტკიცებული განაკვეთების დონეზე.

4. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ უზრუნველყონ მშობელთა საზოგადოების საბჭოს პრეზიდიუმისათვის მმართველობის აპარატის შესანახი ზღვრული ასიგნებების გამოყოფა.

5. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, ქ. თბილისის ლენინისა და ზესტაფონის რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მოხსენებები მშობელთა საზოგადოებების მიერ გაწეული მუშაობის შედეგების შესახებ 1983 წლის დამლევამდე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1982 წ. 5 აპრილი № 244

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1982 წლის 5 აპრილის № 244 დადგენილებით

ქალაქის (რაიონის) მშობელთა საზოგადოების სანიმუშო წესდება

I. ზოგადი დებულებანი

1. ქალაქის (რაიონის) მშობელთა საზოგადოება არის ქალაქში (რაიონში) მცხოვრებ მოქალაქეთა ნებაყოფლობითი მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომლის მთავარი მიზანია მათი ძალების გაერთიანება კონსტიტუცი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ური მოვალეობის განსახორციელებლად — იზრუნონ ბავშვების აღზრდაზე, მოამზადონ ისინი საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომისათვის, სამშობლოს დაცვისათვის, აღზარდონ საზოგადოების ღირსეულ წევრებად.

2. ქალაქის (რაიონის) მშობელთა საზოგადოება და მისი პირველადი ორგანიზაციები მოქმედებენ პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, შემოქმედებით კავშირებთან, სამეურნეო და ადმინისტრაციულ ორგანოებთან მჭიდრო ურთიერთკავშირში, რომლებიც მოწოდებული არიან იზრუნონ ოჯახის განმტკიცებაზე, დახმარება აღმოუჩინონ ოჯახს ბავშვების სწავლისა და აღზრდისათვის ოპტიმალური პირობების უზრუნველყოფაში, იზრუნონ მშობელთა პედაგოგიური კულტურის, ბავშვების პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდისათვის მათი პასუხისმგებლობის ასამაღლებლად,

4. ქალაქის (რაიონის) მშობელთა საზოგადოება თავის პრაქტიკულ საქმიანობაში ხელმძღვანელობს პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებით სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, პარტიის საქალაქო (რაიონული) კომიტეტის, სახალხო დეპუტატთა საქალაქო (რაიონული) საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებებით და ამ წესდებით.

II. ქალაქის (რაიონის) მშობელთა საზოგადოების ამოცანები და ფუნქციები

ქალაქის (რაიონის) მშობელთა საზოგადოების ამოცანებია:

1. ოჯახის, სკოლისა და საზოგადოებრიობისათვის სისტემატური, ქმედითი დახმარების აღმოჩენა ახალგაზრდობის საყოველთაო-საშუალო განათლების განხორციელებაში, სწავლების ცხოვრებასთან, საზოგადოებრივ წარმოებასთან მჭიდრო კავშირის, მოზარდი თაობის სწორი პროფესიული და სოციალური ორიენტაციის, იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის უზრუნველყოფაში თითოეული ახალგაზრდის მოწოდებისა და უნარის შესაბამისად და საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა გათვალისწინებით.

2. აღზრდის მთელი პროცესის შემდგომ სრულყოფაში, ბავშვთა სწავლისა და აღზრდის ორგანიზაციისადმი კომპლექსური დამოკიდებულების განხორციელებაში პროფტექნიკური სასწავლებლების, სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების პედკოლექტივებს, მოსწავლეთა ოჯახებსა და საშეფო შრომით კოლექტივებს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირის აქტიური ხელშეწყობა.

3. ხელის შეწყობა ქალაქში (რაიონში) დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესებისათვის, ოჯახის განმტკიცებისათვის, დედის, მამის ავტორიტეტის, ბავშვთა იდეურ-პოლიტიკურ, შრომითსა და ზნეობრივ ჩამოყალიბებაში მშობელთა პერსონალური პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის. ახალი ოჯახების შექმნის, შობადობის, მრავალშვილიანობის წახალისება. სანიმუშო ოჯახების, მოწინავე მშობლების დადებითი გამოცდილების პროპაგანდა.

დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად ქალაქის (რაიონის) მშობელთა საზოგადოება ასრულებს შემდეგ ფუნქციებს;

მუზ. 27
ეროვნული
ბიბლიოთეკა

— კოორდინაციას უწევს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან, პროფტექნიკურ სასწავლებლებთან, სკოლის გარეშე დაწესებულებებთან საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების კოლექტივების საშეფო მუშაობას.

— მიკრორაიონების საბჭოებთან, საბინაო-საექსპლუატაციო კანტორებთან, მათს პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად მონაწილეობს ბავშვებისა და მოზარდთა თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენების ორგანიზაციაში.

— ეცნობა ოჯახებში ბავშვთა სწავლისა და აღზრდის პირობებს, ავლენს მოუწესრიგებელ ოჯახებს, აგრეთვე ოჯახებს, რომლებსაც რაიმე მიზეზის გამო არ შეუძლიათ ბავშვთა სწავლისა და აღზრდის ფუნქციის შესრულება, და დაინტერესებულ ორგანოებთან ერთად იღებს სათანადო ზომებს. მაქსიმალურად იყენებს მათდამი ზემოქმედების ყველა არსებულ საშუალებას; საზოგადოების სამსჯავროზე გამოჰყავს ის მშობლები, რომლებიც ცუდად ასრულებენ ბავშვთა აღზრდის მოქალაქეობრივ მოვალეობას.

— ატარებს ინდივიდუალურ აღმზრდელობით მუშაობას მოუწესრიგებელ ოჯახებთან, ძნელადაღსაზრდელ მოზარდებთან, მშობლებთან, რომელთა შვილები არღვევენ სასკოლო ცხოვრების წესებს, საზოგადოებრივ წესრიგს; აქტიურად მონაწილეობს არასრულწლოვანთა, ახალგაზრდობას შორის სამართალდარღვევების პროფილაქტიკაში.

— იზიდავს მშობლებს პედაგოგიური ცოდნის უნივერსიტეტების, სემინარების, ლექტორიუმების, აგრეთვე მშობელთა კომიტეტების, სკოლისა და ოჯახის ხელშემწყობი საბჭოების მუშაობაში, მოუწესრიგებელ ოჯახებთან, ძნელადაღსაზრდელ ბავშვებთან ინდივიდუალურ აღმზრდელობით მუშაობაში.

— ხელს უწყობს მეზობლებისა და ნათესავების ოჯახებს შორის თანამშრომლობის განვითარებას ოჯახის საშინაო შრომისა და დასვენების უფრო რაციონალური ორგანიზაციის მიზნით, ენთუზიასტი მშობლების მიერ საბავშვო კლუბების შექმნას, სადაც ბავშვები სწავლობენ ფოტოსაქმეს, ხეზე ჭრასა და ამოწვას, ჭედურობას, ლიტერატურულ კითხვას, პოეზიას, მუსიკას, სიმღერას, ჭადრაკსა და სხვა.

— ატარებს მუშაობას ოჯახის სტაბილურობის განმტკიცებისათვის, განქორწინებათა პროფილაქტიკისათვის; ხელს უწყობს დედის, მამის ავტორიტეტის ამაღლებას, ახალგაზრდა ოჯახის განმტკიცებასა და განვითარებას; მატერიალურ დახმარებას უწევს მრავალშვილიან ოჯახებს, ახალგაზრდა მშობლებს.

17361

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ახორციელებს შობადობის, მრავალშვილიანობის მატერიალური და მორალური წახალისების ღონისძიებებს; პროპაგანდას უწევს სანიმუშო ოჯახების, მშობლების დადებით გამოცდილებას, რომლებმაც შვილები აღზარდეს საზოგადოების ღირსეულ წევრებად.

— მონაწილეობს საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელებაში მომსახურების სფეროს საწარმოების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის დაწესებულებების მუშაობისადმი, ბავშვთა ყოფაცხოვრების, სწავლისა და დასვენებისათვის ნორმალური პირობების შექმნაში.

— ზრუნავს ბავშვებისა და მშობლების ერთობლივი საქმიანობისა და დასვენების, სპორტულ-მასობრივი, სამხარეთმცოდნეო და ტურისტული მუშაობის ტრადიციების დანერგვის, საოჯახო მხატვრული თვითშემოქმედების განვითარებისათვის; კლუბებთან, კულტურის სახლებთან ქმნის „გამოსასვლელი დღის საოჯახო კლუბებს“.

III. ქალაქის (რაიონის) მშობელთა საზოგადოების წევრები, მათი უფლებამოვალეობანი

1. მშობელთა საზოგადოების წევრები შეიძლება იყვნენ მოქალაქენი, რომლებიც იზიარებენ მშობელთა საზოგადოების წესდებას და აქტიურად უწყობენ ხელს მის განხორციელებას, ასრულებენ საზოგადოების გადაწყვეტილებებსა და დავალებებს.

2. მშობელთა საზოგადოების წევრებად მიიღებიან ღია კენჭისყრით საზოგადოების პირველადი ორგანიზაციის კრებაზე.

3. მშობელთა საზოგადოების წევრებს უფლება აქვთ:

— მონაწილეობა მიიღონ მოზარდი თაობის სწავლებისა და აღზრდის საკითხების განხილვასა და გადაწყვეტაში;

— იმსჯელონ კრებებზე სკოლების, პროფტექსასწავლებლების, სკოლისგარეშე დაწესებულებების, სახალხო განათლების ორგანოების, საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშაობის, ბავშვთა სწავლებისა და აღზრდის, პროფესიული ორიენტაციის, ამ სფეროში სკოლის, ოჯახის, საზოგადოებრიობის ერთობლივი საქმიანობის ორგანიზაციის საკითხებზე;

— მიიღონ მონაწილეობა საზოგადოების საქალაქო (რაიონული) საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხდომაბში მათთვის საინტერესო საკითხის განხილვის დროს;

— აირჩიონ და არჩეულ იქნენ მშობელთა საზოგადოებისა და მისი პირველადი ორგანიზაციების ხელმძღვანელ ორგანოებში.

4. მშობელთა საზოგადოების წევრებს, აგრეთვე მისი ხელმძღვანელი ორგანოების წარმომადგენლებს ამ ორგანოების სათანადო რწმუნებით უფლება აქვთ მიმართონ შესაბამის პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანოებს, სამინისტროებსა და უწყებებს, სახალხო განათლების, სამე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურნეო და ადმინისტრაციულ ორგანოებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა შემოქმედებით კავშირებს და დასვან მათ წინაშე ის საკითხები, რომლებიც საზოგადოების ამოცანებიდან გამომდინარეობს და მათ ჩარევას მოითხოვს.

5. მშობელთა საზოგადოების წევრები პირად მაგალითს უჩვენებენ ოჯახური, მშობლიური მოვალეობების შესრულებაში.

6. თავიანთ მოვალეობათა შეუსრულებლობის შემთხვევაში მშობელთა საზოგადოების წევრები შეიძლება გაირიცხონ საზოგადოებიდან და ამის შესახებ აცნობონ მათ სამუშაო ადგილზე.

IV. ქალაქის (რაიონის) მშობელთა საზოგადოების ორგანიზაციული სტრუქტურა და ხელმძღვანელი ორგანოები

1. ქალაქის (რაიონის) მშობელთა საზოგადოების ორგანიზაციულ საფუძველს წარმოადგენს საზოგადოების პირველადი ორგანიზაციები, რომლებიც იქმნება საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, სასაწავლო დაწესებულებებში, სადაც არის არანაკლებ 10 წევრისა

მშობელთა საზოგადოების პირველადს ორგანიზაციებს მიეკუთვნება ავრეთვე პროფტექნიკურ სასწავლებლებთან, სკოლებთან და სკოლამდელ დაწესებულებებთან არსებული მშობელთა კომიტეტები.

2. ქალაქის (რაიონის) მშობელთა საზოგადოების უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს კონფერენცია, რომელიც იკრიბება 3 წელიწადში ერთხელ. კონფერენციის ჩატარების ვადებს, წარმომადგენლობის ნორმებსა და დღის წესრიგს ადგენს და განსაზღვრავს საზოგადოების საქალაქო (რაიონული) საბჭო.

ქალაქის (რაიონის) მშობელთა საზოგადოების კონფერენცია:

ა) ისმენს და ამტკიცებს საზოგადოების საქალაქო (რაიონული) საბჭოსა და მისი სარევიზიო კომისიის ანგარიშებს;

ბ) განსაზღვრავს საზოგადოების მორიგ ამოცანებს;

გ) ამტკიცებს საზოგადოების წესდებას;

დ) ღია კენჭისყრით ირჩევს საზოგადოების საქალაქო (რაიონულ) საბჭოს.

3. კონფერენციებს შორის პერიოდში მშობელთა საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოს წარმოადგენს საქალაქო (რაიონული) საბჭო, რომლის პლენარულ სხდომებს იწვევენ წელიწადში 2-ჯერ მაინც.

საზოგადოების საქალაქო (რაიონული) საბჭოს წევრებიდან ირჩევენ საზოგადოების საქალაქო (რაიონული) საბჭოს პრეზიდიუმს საქალაქო (რაიონული) საბჭოს თავმჯდომარის, მისი მოადგილის, მდივნისა და პრეზიდიუმის წევრების შემადგენლობით. პრეზიდიუმი ხელმძღვანელობს საზოგადოების საქმიანობას საზოგადოების საქალაქო (რაიონული) საბჭოს პლენუმებს შორის პერიოდში.

საზოგადოების საქალაქო (რაიონული) საბჭო და მისი პრეზიდიუმი:

— ხელმძღვანელობს საზოგადოების საქმიანობას მისი წესდების შესაბამისად, ახორციელებს საზოგადოების კონფერენციის გადაწყვეტილებებს;

— კონტროლს უწევს მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობას;

— განიხილავს და ამტკიცებს საზოგადოების საქალაქო (რაიონული) საბჭოს პრეზიდიუმის სამუშაო გეგმებს და აკონტროლებს მათ შესრულებას;

— საზოგადოების სახელით გამოდის წარმომადგენლად ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოსა და ორგანიზაციაში.

4. ქალაქის (რაიონის) მშობელთა საზოგადოების სარევიზიო კომისია ირჩევს თავმჯდომარეს, მის მოადგილესა და მდივანს. საზოგადოების სარევიზიო კომისია რევიზიას უწევს მშობელთა საზოგადოების საქალაქო (რაიონული) საბჭოს აპარატის მუშაობას, სალაროსა და საზოგადოების შემოსავლისა და გასავლის სისწორეს.

5. მშობელთა საზოგადოების პირველადი ორგანიზაციის უმაღლეს ხელმძღვანელ ორგანოს წარმოადგენს საერთო კრება, რომელსაც იწვევენ საჭიროების შემთხვევაში, მაგრამ კვარტალში ერთხელ მაინც.

მიმდინარე სამუშაოს განხორციელებისათვის მშობელთა საზოგადოების პირველადი ორგანიზაციის კრება 3 წლის ვადით ირჩევს ბიუროს, ხოლო თუ პირველადი ორგანიზაციის წევრთა რაოდენობა 15-ზე ნაკლებია,—რწმუნებულს.

საზოგადოების პირველადი ორგანიზაცია და მისი ბიურო ახორციელებენ მუშაობას მშობელთა საზოგადოების წესდებით განსაზღვრული ამოცანების შესასრულებლად, აგრეთვე იღებენ საზოგადოების წევრებად ცალკეულ მოქალაქეებს.

V. ქალაქის (რაიონის) მშობელთა საზოგადოების ფულადი სახსრები

1. ქალაქის (რაიონის) მშობელთა საზოგადოების საქმიანობა აგებულია თვითანაზღაურების პრინციპზე.

საზოგადოების ფულადი სახსრები შედგება:

ა) საზოგადოების წევრთა შესასვლელი და საწევრო შენატანებისაგან.

მშობელთა საზოგადოების წევრი იხდის შესასვლელ შესატანს 20 კაპიკს და ყოველწლიურ საწევრო შესატანს 1 მანეთს;

ბ) ოჯახის, ქორწინების საკითხებზე წაკითხული ფასიანი ლექციებიდან მიღებული სახსრებისაგან.

2. მშობელთა საზოგადოება თავისუფლდება საშემოსავლო გადასახადებისა და სახელმწიფო ბიუჯეტში სხვა გადარიცხვებისაგან.

3. მშობელთა საზოგადოების სახსრების ნაწილი (40 პროცენტამდე) იხარჯება საზოგადოების საქალაქო (რაიონული) საბჭოს პრეზიდიუმის განთავისუფლებულ მუშაკთა შესანახად.

მშობელთა საზოგადოების სახსრების ძირითადი ნაწილი იხარჯება ოჯახებთან, მშობლებთან აღმზრდელობითი მუშაობისათვის, მშობელთა პედაგოგიური განათლების ორგანიზაციის, შობადობის, მრავალშვილიანობის სტიმულირების, მრავალშვილიანი ოჯახების ახალგაზრდა მშობლებისათვის დახმარების საჭიროებისათვის, სამაგალითო მშობლების, საზოგადოების აქტიური

ეროვნული ბიბლიოთეკა

წევრების წასახალისებლად, აგრეთვე საზოგადოების ორგანიზაციულ-საძეურნეო მოთხოვნილებებისათვის.

VI. ქალაქის (რაიონის) მშობელთა საზოგადოების იურიდიული უფლებები

მშობელთა საზოგადოების საქალაქო (რაიონული) საბჭო წარმოადგენს იურიდიულ პირს, აქვს თავისი მიმდინარე ანგარიში სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქალაქო (რაიონულ) განყოფილებაში და მრგვალი ბეჭედი.

ქალაქის (რაიონის) მშობელთა საზოგადოება წყვეტს თავის საქმიანობას საზოგადოების კონფერენციის ან სახალხო დეპუტატთა საქალაქო (რაიონული) საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1982 წლის 5 აპრილის № 244 დადგენილების დ ანართი

საშტატო განრიგი

ქალაქის (რაიონის) მშობელთა საზოგადოების საბჭოს აპარატისა

თანამდებობის დასახელება	რაოდენობა	თანამდებობრივი განაკვეთი	ხელფასი	წელიწადზე გადაანგარიშებით
პრეზიდიუმის პასუხისმგებელი მდივანი	1	120	120	1440
ინსტრუქტორი	3	90	270	3240
ს უ ლ				4680

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ზ. **ახვლედიანი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

28 საგარეჯოსა და მცხეთის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოების მეურნეობის გაძღოლის ახალ სისტემაზე გადაყვანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, ადგილობრივ საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს გარკვეული მუშაობა აქვთ გაწეული მელიორირებული მიწების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებისათვის.

მაგრამ ხშირად მელიორირებული მიწები ჯერ კიდევ ვერ იძლევა შესაბამის უკუგებას აგროტექნიკის წესების დარღვევის, მათ შორის რწყვის ვადების ჩაშლისა და დაბალი ხარისხის, სარწყავი და დაშრობილი მიწებისათვის მინერალური სასუქების უქონლობის გამო.

ამის შედეგად ძალზე დაბალია მარცვლეულის, განსაკუთრებით სიმინდის, აგრეთვე ბოსტნეულის, საკვები და სხვა კულტურების მოსავლიანობა. მელიორირებული მიწების გამოყენების ეფექტიანობაზე უარყოფითად მოქმედებს ისიც, რომ საქმიანი კონტაქტი არ არის დამყარებული ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო და წყალსამეურნეო ორგანოებს შორის და ხშირად ისინი ფორმალურად ეკიდებიან უხვი მოსავლის მიღების ხელშემწყობ ღონისძიებათა კომპლექსის შესრულებას.

განიხილა რა საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს წინადადება სასოფლო-სამეურნეო კულტურების რწყვის ორგანიზაციის სრულყოფის მიზნით საგარეჯოსა და მცხეთის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოების მეურნეობის გაძღოლის ახალ სისტემაზე გადაყვანის შესახებ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ:

ა) დაამტკიცოს დებულება საგარეჯოსა და მცხეთის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოების შესახებ;

ბ) დააკომპლექტოს მიმდინარე წლის რწყვის სეზონისათვის საგარეჯოსა და მცხეთის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოთა შტატები;

გ) უზრუნველყოს პირველ რიგში საგარეჯოსა და მცხეთის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოები საჭირო ტექნიკითა და სატრანსპორტო საშუალებებით 1982 წლის ფონდებიდან;

დ) საგარეჯოსა და მცხეთის სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანებებთან ერთად ჩაატაროს ადგილებზე საექსპლუატაციო სამსახურის ადგილობრივ მუშაკთათვის 3-დღიანი სემინარები და განიხილოს მათზე ექსპერიმენტის ამოცანები და მელიორირებული მიწების მაღალეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფის ღონისძიებანი.

2. საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან ერთად დაამტკიცოს დებულება საგარეჯოსა და მცხეთის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოების მუშაკთა შრომის ანაზღაურების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. დაევალოთ საგარეჯოსა და მცხეთის რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს და შესაბამის სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანებებს უზრუნველყონ საგარეჯოსა და მცხეთის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოები საჭირო ტექნიკით.

4. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტრომ გაუწიონ მცხეთისა და საგარეჯოს სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანებებს დახმარება მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოების ტექნიკურ აღჭურვაში რეზერვიდან მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების დამატებით გამოყოფის გზით და შესრულების შესახებ მოახსენონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 15 აპრილამდე.

5. დაევალოთ საგარეჯოსა და მცხეთის სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანებებს:

— უზრუნველყონ საგარეჯოსა და მცხეთის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოებისათვის მექანიზმებისა და სატრანსპორტო საშუალებების გადაცემა 1982 წლისათვის გამოყოფილი ფონდებიდან;

— უზრუნველყონ, რომ საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეობებმა დროულად გამოყონ და გაგზავნონ მუდმივ სამუშაოზე მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის ორგანოების განკარგულებაში მრწყველთა კონტინგენტი;

— განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მელიორირებულ მიწებზე აგროტექნიკის წესების დაცვას, უზრუნველყონ ეს მიწები მინერალური სასუქებით პირველ რიგში და არ დაუშვან სარწყავი და დაშრობილი მიწების მოცდენა სასოფლო-სამეურნეო ბრუნვის გარეშე;

— უზრუნველყონ მელიორირებული მიწებიდან მიღებული მოსავლის ცალკე აღრიცხვა.

7. დაევალოთ საქართველოს სსრ სახმომარაგებასა და საქსახსოფლტექნიკას გამოუყონ 1982 წელს საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს სპეცტანსაცმელი, სპეცფეხსაცმელი, ლოგინ-ქვეშაგები, ინსტრუმენტები და მოწყობილობა საგარეჯოსა და მცხეთის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოებისათვის, დანართის თანახმად.

8. საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ წარმოუდგინოს 1982 წლის 1 ნოემბრისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ინფორმაცია საგარეჯოსა და მცხეთის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოთა მუშაობის შედეგების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1982 წ. 12 აპრილი, № 249

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1982 წლის 12 აპრილის № 249 დადგენილების დანართი

ნუსხა

1982 წელს საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსათვის გამოსაყოფი სპეცტანსაცმლისა, სპეცფეხსაცმლისა, ლოგინ-გვეშაგებისა, საწოლებისა და ინსტრუმენტისა

დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა
რეზინის ჩექმა	წყვილი	500
სპეცკოსტიუმი	კომპლექტი	500
ლოგინ-ქვეშაგები	„	200
საბანი	ცალი	200
რკინის საწოლი	„	200
ხიშტა ნიჩაბი	„	500
ამკრები ნიჩაბი	„	500

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

29 „მშენებლობაში დასაქმებულ მუშაკთათვის ხელფასის მისაცემი სახსრების გაცემის წესის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 11 მარტის № 192 დადგენილების თაობაზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

მიღებულ იქნეს ცნობად და სახელმძღვანელოდ, რომ „მშენებლობაში დასაქმებულ მუშაკთათვის ხელფასის მისაცემი სახსრების გაცემის წესის შესახებ“ თავისი 1982 წლის 11 მარტის № 192 დადგენილებით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ:

— დააწესა, რომ სამუშაოთა გეგმის გადაჭარბებით შესრულების (უკმარშესრულების) დროს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე და დამხმარე წარმოებებში დასაქმებულ მუშაკთათვის ხელფასის მისაცემი სახსრები ეძლევათ საიჯარო ორგანიზაციებს და სამეურნეო წესით მიმდინარე მშენებლობებს სამუშაოთა გეგმის გადაჭარბებით შესრულების (უკმარშესრულების) თითოეული პროცენტისათვის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე და დამხმარე წარმოებებში დასაქმებულ მუშაკთა ხელფასის საერთო ფონდში მენარდე მუშათა ხელფასის ფონდის დონის თანახმად გაანგარიშებული ნორმატივის მიხედვით ხელფასის წლიური ფონდის ფარგლებში;

— დაავალა სსრ კავშირის მშენბანკსა და სსრ კავშირის სახბანკს შეიმუშაონ და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით დაამტკიცონ 1982 წლის 1 აპრილამდე ინსტრუქცია სამუშაოთა გეგმის გადაჭარბებით შესრულების (უკმარშესრულების) თითოეული პროცენტისათვის საიჯარო ორგანიზაციათა და სამეურნეო წესით მიმდინარე მშენებლობათა ხელფასის დაგეგმილი ფონდის გადაანგარიშების ნორმატივის განსაზღვრის წესის შესახებ.

— „სსრ კავშირის მშენბანკის გადასაწყვეტად ზოგიერთი საკითხის გადაცემის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 2 ივნისის № 427 დადგენილების (სსრკ დადგ. კრებ., 1965 წ. № 14, მუხ. 106) მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტიდან ამოიღო სიტყვები: „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 10 აპრილის № 381 დადგენილებით დაწესებული ოდენობით“;

— ძალადაკარგულად ჩათვალა:

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 10 აპრილის № 381 დადგენილება „სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმის გადაჭარბებით შესრულების დროს მუშათა ხელფასის სახსრების სამშენებლო ორგანიზაციებისათვის მიცემის წესის შესახებ“;

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 5 ივნისის № 1271 განკარგულება;

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 5 სექტემბრის № 1861 განკარგულება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 11 აგვისტოს № 1705 გადაწყვეტილება;

სამოქმედოდ შემოიღო მიღებული დადგენილება 1982 წლის 1 აპრილიდან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1982 წ. 15 აპრილი, № 253

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

დადგენილება № 192

1982 წლის 11 მარტი

მოსკოვი, კრემლი

მშენებლობაში დასაქმებულ მუშაკთათვის ხელფასის მისაცემი სახსრების გაცემის წესის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დაწესდეს, რომ სამუშაოთა გეგმის გადაჭარბებით შესრულების (უკმარშესრულების) დროს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე და დამხმარე წარმოებებში დასაქმებულ მუშაკთათვის ხელფასის მისაცემი სახსრები ეძლევათ სამშენებლო ორგანიზაციებს და სამეურნეო წესით მიმდინარე მშენებლობებს სამუშაოთა გეგმის გადაჭარბებით შესრულების (უკმარშესრულების) თითოეული პროცენტისათვის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე და დამხმარე წარმოებებში დასაქმებულ მუშაკთა ხელფასის საერთო ფონდში მენარდე მუშათა ხელფასის ფონდის დონის თანახმად გაანგარიშებული ნორმატივის მიხედვით ხელფასის წლიური ფონდის ფარგლებში.

2. სსრ კავშირის მშენბანკმა და სსრ კავშირის სახბანკმა შეიმუშაონ და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით დაამტკიცონ 1982 წლის 1 აპრილამდე ინსტრუქცია სამუშაოთა გეგმის გადაჭარბებით შესრულების (უკმარშესრულების) თითოეული პროცენტისათვის საიჯარო ორგანიზაციათა და სამეურნეო წესით მიმდინარე მშენებლობათა ხელფასის დაგეგმილი ფონდის გადაანგარიშების ნორმატივის განსაზღვრის წესის შესახებ.

3. ამოღებულ იქნეს „სსრ კავშირის მშენბანკის გადასაწყვეტად ზოგიერთი საკითხის გადაცემის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 2 ივნისის № 427 დადგენილების (სსრკ დადგ. კრებ., 1965 წ., № 14, მუხ. 103)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტიდან სიტყვები: „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 10 აპრილის № 381 დადგენილებით დაწესებული ოდენობით“.

4. ძალადაკარგულად ჩაითვალოს სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებანი, თანდართული ნუსხის თანახმად.

5. შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ეს დადგენილება 1982 წლის 1 აპრილიდან.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე ნ. ტიხონოვი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ბ. სმირნოვი.

დამტკიცებულია
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982
წლის 11 მარტის № 192 დადგენილებით

ნ უ ს ხ ა

სსრ კავშირის მთავრობის ძალადაკარგული გადაწყვეტილებებისა

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 10 აპრილის № 381 დადგენილება „სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმის გადაჭარბებით შესრულების დროს მუშათა ხელფასის სახსრების სამშენებლო ორგანიზაციებისათვის მიცემის წესის შესახებ“.

2. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 5 ივნისის № 1271 განკარგულება.

3. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 5 სექტემბრის № 1861 განკარგულება.

4. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 11 აგვისტოს № 1705 განკარგულება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

30 საფუტკრეების სამთაბაროდ გადატანის წესების დამრღვევთა პასუხისმგებლობის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ რესპუბლიკაში დიდი შესაძლებლობებია საფუტკრეების გადატანისათვის განმეორებით სამთაბაროდ, რაც გამოუვლინებელი საკვები რესურსების ათვისებისა და მეფუტკრეობის მაღალი პროდუქტიულობის მიღწევის ძირითადი გზაა.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო ყოველწლიურად გამოსცემს ბრძანებებს რესპუბლიკის რიაონების მიხედვით საფუტკრეების გადატანის შესახებ, მაგრამ ადგილი აქვს მათ თვითნებურ გადატანასაც. ეს იწვევს ადგილმდებარეობის გადატვირთვას ფუტკრის ოჯახებით, რაც საფუტკრეების დაბალი სასაქონლო პროდუქტიულობის ძირითადი მიზეზია.

„საქართველოს სს რესპუბლიკაში მეფუტკრეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 24 მარტის № 239 დადგენილების მე-14 პუნქტის შესაბამისად საფუტკრეების სამთაბაროდ გადატანის წესების დამრღვევთა მიმართ ზომების დაწესების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. განხორციელდეს საქართველოს სსრ ფარგლებში ფუტკრის ოჯახების გადატანა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ყოველწლიურად განსაზღვრული სამთაბარო მარშრუტების შესაბამისად.

2. დაწესდეს, რომ:

— კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეურნეობათაშორისო საწარმოების, სახელმწიფო ფუტკარსაშენების, მონადირეთა და მეთევზეთა კავშირის, სატყეო მეურნეობის ორგანოების, ნაკრძალების, მოყვარულ მეფუტკრეთა საზოგადოების და სხვა სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების თანამდებობის პირები, რომლებიც დაუშვებენ საფუტკრეებისათვის დაწესებული სამთაბარო მარშრუტების დარღვევას, დაჯარიმდებიან 50 მანეთამდე, ხოლო კერძო საფუტკრეების მფლობელნი — 10 მანეთამდე ოდენობით;

— ორგანიზაციათა და კერძო პირთა კუთვნილი ფუტკრის ოჯახები იძულებითი წესით გატანილ იქნება ზონიდან, სადაც მათ არა აქვთ მთაბარობის უფლება;

— ამ პუნქტით გათვალისწინებულ ზომებს მიიღებენ სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასკომებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჯითანავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

თბილისი. 1982 წ. 15 აპრილი, № 264

ეროვნული ბიბლიოთეკა

31 საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბის შესახებ დებულების გამოყენების წესების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

„საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1981 წლის 18 ივნისის ბრძანებულების შესაბამისად დამტკიცდეს საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბის შესახებ დებულების გამოყენების თანდართული წესები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჯითანავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1982 წ. 15 აპრილი, № 267

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1982 წლის 15 აპრილის № 267
დადგენილებით

წ ე ს ე ბ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის შესახებ დებულების გამოყენებისა

1. შენობებზე, სხდომათა დარბაზებში, ბეჭდებსა და დოკუმენტების ბლანკებზე, ოფიციალურ გამოცემებზე და საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების ლატარიის ბილეთებზე საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის გამოსახულებით შეუძლიათ ისარგებლონ საქართველოს სსრ სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებს, რომლებიც აღნიშნულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1981 წლის 18 ივნისის ბრძანებულებით დამტკიცებულ დებულებაში საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შეუძლია გაითვალისწინოს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის გამოსახულების საგალდებულო რეპროდუცირების სხვა შემთხვევებიც.

2. საქართველოს სსრ სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების გარდა, რომლებიც აღნიშნულია 1-ლ პუნქტში, საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ სახელმწიფო გერბის გამოსახულებიანი ბეჭდებით შეუძლიათ ისარგებლონ დაწესებულებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს, რომელთაც ეს უფლება მინიჭებული აქვთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულებით ან წესდებით.

3. საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბის რელიეფური გამოსახულებით შეუძლიათ ისარგებლონ საქართველოს სსრ სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებს სხდომათა დარბაზებში, აგრეთვე სასამართლოებს — სასამართლო სხდომათა დარბაზებში და მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩასაწერ ორგანოებს— დაბადებისა და ქორწინების საზეიმო რეგისტრაციის სადგომებში.

4. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის გამოსახულების რეპროდუცირება, მისი ზომების მიუხედავად, ყოველთვის ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს მის აღწერილობას, რომელიც მოცემულია დებულებაში საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის შესახებ.

5. პასუხისმგებლობა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის შესახებ დებულებაში ჩამოყალიბებული მოთხოვნებისა და ამ წესების დაცვისათვის ეკისრებათ საქართველოს სსრ სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოთა ხელმძღვანელებს, რომელთაც მინიჭებული აქვთ სახელმწიფო გერბის გამოსახულებით სარგებლობის უფლება.

6. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის შესახებ დებულებისა და ამ წესების ზუსტად შესრულებას თვალყურს ადევნებენ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები.

---

32 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 27 იანვრის № 59 დადგენილებით დამტკიცებულ დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული არქეოლოგიური ძეგლების დაცვის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 27 იანვრის № 59 დადგენილებით დამტკიცებულ „სარგებლობისათვის მიწის ნაკვეთების გაცემის თაობაზე შუამდგომლობათა აღძვრისა და განხილვის წესის და სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მათი გამოყოფის წესის შესახებ“ დებულების მე-3 პუნქტის მე-2 აბზაცში სიტყვების შემდეგ — „იმ მეურნეობის ხელმძღვანელები, რომლიდანაც გათვალისწინებულია მიწების გამოყოფა“ — დაემატოს სიტყვები: „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრომ ობიექტების ასაშენებლად საჭირო მიწის ფართობის შერჩევისა და გამოყოფის ის მასალები, რომლებიც განიხილეს შესაბამისი რაიონების (ქალაქების) სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, უკვე წარედგინათ მათ და ახლა გაფორმების პროცესშია, საკითხის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში შემოტანამდე ან მათ მიერ დაპროექტების ნებართვის შესახებ ბრძანების გამოცემამდე, შეუთანხმონ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრს.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრს დაუგზავნოს რესპუბლიკის ყველა რაიონისა და ქალაქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომს მონაცემები მათი ექსპედიციების განლაგების შესახებ, რომელ რა იონში რომელი ექსპედიციის წარმომადგენლები მიიღებენ მონაწილეობას რაიონული კომისიის მუშაობაში სახელმწიფო ან საზოგადოებრივი დანიშნულებისათვის მიწის ნაკვეთების შესარჩევად და გაჩოსაყოფად მასალების შედგენაში და ყოველ ცალკეულ შემთხვევაში უზრუნველყოს მათი შეუფერხებელი მონაწილეობა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჟვანია.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1982 წ. 12 აპრილი, № 269

33 საქართველოს სს რესპუბლიკაში ნადირობისა და სამონადირეო მეურნეობის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სს რესპუბლიკაში ნადირობისა და სამონადირეო მეურნეობის შესახებ.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს „საქართველოს სს რესპუბლიკაში სამონადირეო მეურნეობის შემდგომი გაუმჯობესების ზომების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 10 აგვისტოს № 536 დადგენილების მე-8 პუნქტის პირველი ნაწილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1982 წ. 12 აპრილი, № 320

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1982 წლის 12 აპრილის № 302
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სს რესპუბლიკაში ნადირობისა და სამონადირეო მეურნეობის შესახებ

1. სამონადირეო მეურნეობა არის სახალხო მეურნეობის დარგი, რომლის ძირითადი ამოცანაა უზრუნველყოს სახელმწიფოს მოთხოვნილებანი ბეწვეულსა და ნადირობის სხვა პროდუქციაზე. ამ მიზნით ეწყობა სამონადირეო სავარგულები, ხორციელდება გარეული ნადირ-ფრინველის მარაგის დაცვა, კვლავწარმოება და რაციონალური გამოყენება.

2. ბუნებრივ პირობებში მობინადრე, აგრეთვე საქართველოს სსრ სამონადირეო სავარგულებში მოსაშენებლად გაშვებული გარეული ნადირ-ფრინველი, მიუხედავად იმისა, თუ ვის სარგებლობაშია ის ტერიტორია, რომელზეც იგი ბინადრობს, შეადგენს სახელმწიფო სამონადირეო ფონდს, რომლის გამოყენება დასაშვებია ამ დებულების, აგრეთვე საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს მიერ გამოცემული ინსტრუქციების დაცვით.

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სამონადირეო მეურნეობის გაძღოლისა და სანადირო სპორტის განვითარებისადმი საერთო ხელმძღვანელობასა და სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველო.

3. სამონადირეო სავარგულებად ითვლება მიწის, ტყიანი, წყლით დაფარული ყველა ფართობი, რომლებიც გარეული ნადირ-ფრინველის ბინადრობის ადგილს წარმოადგენენ და შეიძლება გამოყენებულ იქნენ სამონადირეო მეურნეობისათვის.

4. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სამონადირეო მეურნეობის სწორი ორგანიზაციის ძირითადი ფორმებია:

ა) სახელმწიფო სამონადირეო მეურნეობები, რომლებიც შექმნილია საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს სისტემაში;

ბ) მიწერილი სამონადირეო მეურნეობები, რომლებიც მიჩენილი აქვთ მონადირეთა კოლექტივებს, აგრეთვე საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა კავშირის სისტემის, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სრულიად საარმიო სამხედრო-სამონადირეო საზოგადოებისა და სხვა ორგანიზაციებისა და უწყებების რაიონულ, საქალაქო და რესპუბლიკურ ორგანიზაციებს.

შენიშვნები: 1) რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების ნაკრძალები და აღკვეთილები საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ფუნქციონირებენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული შესაბამისი დებულების თანახმად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2) სამონადირეო სავარგულები, რომლებიც მიჩენილი არა აქვთ სახელმწიფო სამონადირეო მეურნეობებს ან მიწერილ სამონადირეო მეურნეობებს, არსებობენ როგორც სახელმწიფო სარეზერვო სამონადირეო ფონდის სავარგულები, რომელთა ტერიტორიაზე ნადირობა ნებადართულია ამ დებულებით დადგენილი წესით.

5. სახელმწიფო სამონადერეო მეურნეობები და მიწერილი სამონადირეო მეურნეობები მოქმედებენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული შესაბამისი დებულების საფუძველზე.

6. სახელმწიფო სამონადირეო მეურნეობები და მიწერილი სამონადირეო მეურნეობები მოვალენი არიან ყოველწლიურად განახორციელონ მათთვის მიჩენილ სამონადირეო სავარგულებში სამონადირეო-სამეურნეო, კვლავწარმოებითი და ბიოტექნიკური ღონისძიებანი სამონადირეო მეურნეობის განვითარების გეგმების შესაბამისად.

7. სახელმწიფო სამონადირეო მეურნეობებსა და მიწერილ სამონადირეო მეურნეობებში ნადირობას ყოველ ცალკეულ შემთხვევაში წყობს ამ მეურნეობის ადმინისტრაცია.

ნადირობა დასაშვებია მხოლოდ კოლექტიური, გამოცდილი მონადირეებისა და კარგად დაგეშილი ძაღლების მონაწილეობით.

8. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სანადირო ფაუნის გამრავლებისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნის მიზნით აკრძალულია:

ა) შხამიან ნივთიერებათა გამოყენება სასოფლო-სამეურნეო მცენარეების მავნებელთა წინააღმდეგ საბრძოლველად და სხვა მიზნებისათვის, თუ მკაცრად არ იქნება დაცული სიფრთხილის ღონისძიებანი, რომლებიც გამორიცხავენ სასარგებლო გარეული ნადირ- რინველის მოწამვლისაგან დაღუპვის შესაძლებლობას, აგრეთვე მინერალური სასუქების დატოვება ზამთარში მინდვრად და ღია მოედნებზე შემოუღობავად ან ისეთი ნაგებობების მოუწყობლად, რომლებიც უზრუნველყოფენ ნადირ-ფრინველის უსაფრთხოებას;

ბ) ლელქაშის, ლელისა და სხვა ძეძვნარის, აგრეთვე ნაწვერალის დაწვა, გარდა სასოფლო-სამეურნეო მავნებელთა წინააღმდეგ ბრძოლის აგროწესებით გათვალისწინებული შემთხვევებისა

გ) ადვილაალებადი მასალებისაგან (ბამბა, ჩვარი, ქაღალდი) დამზადებული სატენების ხმარება ნადირობის დროს, აგრეთვე ჩაუქრობელი ცეცხლის დატოვება ტყეებსა და მიდვრებში;

დ) ნადირობა მოსავლის აღებამდე მინდვრებში, ბაღებსა და ბოსტნებში;

ე) ნაკრძალების, სახელმწიფო სამონადირეო მეურნეობების, აღკვეთილებისა და მიწერილი სამონადირეო მეურნეობების საზღვრის აღნიშვნები ბოძების, ტრაფარეტებისა და მაჩვენებლების მოსპობა ან გაფუჭება;

ვ) სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა წარმოებისას ნადირ-ფრინველის ბუდეებისა და სოროების მოსპობა.

9) სახელმწიფო სამონადირეო მეურნეობებისა და მიწერილი სამონადირეო მეურნეობების მუშაობაში აქტიური მონაწილეობისათვის მონადირეთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფართო მასების მიზიდვის, სანადირო ფაუნის მარაგის გადიდების, მონადირეთა შორის კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციისა და სამონადირეო მეურნეობის სწორი გაძღოლის მიზნით საქართველოს სსრ ყველა მონადირე ერთიანდება საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა კავშირის ორგანიზაციებში, ხოლო სამხედრო მოსამსახურე მონადირეები — ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სრულიად საარმიო სამხედრო-სამონადირეო საზოგადოებაში, რომლებიც მოქმედებენ დამტკიცებული წესდებების საფუძველზე და ხელმძღვანელობენ ამ დებულებით.

10. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ნადირობის უფლებით სარგებლობს სსრ კავშირის ყველა მოქალაქე, ვისაც 18 წელი შეუსრულდა, რომლებიც ირიცხებიან მონადირეთა საზოგადოებების წევრებად, ჩაბარეს გამოცდა ნადირობის მინიმუმით და გადაიხადეს სახელმწიფო ბაჟი დადგენილი ოდენობით.

ნადირობის უფლების დამადასტურებელ დოკუმენტს წარმოადგენს დაწესებული ნიმუშის სანადირო ბილეთი, რომელზეც აღნიშნულია, რომ მისმა მფლობელმა ჩააბარა გამოცდა ნადირობის მინიმუმით და გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი მიმდინარე წელს, ამასთან საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა ორგანოების მიერ მიცემული აქვს სანადირო იარაღის შენახვისა და ტარების ნებართვა.

იმ პირებს, რომლებიც მონადირეთა საზოგადოების წევრებად არ ირიცხებიან, ნადირობის უფლება არა აქვთ.

11. სანადირო ბილეთების გაცემა ეკისრებათ საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა კავშირს და ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სრულიად საარმიო სამხედრო-სამონადირეო საზოგადოებას.

12. ნადირობის ნებართვის (სანადირო ბილეთის და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა ორგანოების მიერ გაცემული სანადირო იარაღის შენახვისა და ტარების უფლების ნებართვის) მიღება მონადირეებს აკისრებს საზოგადოებრივ მოვალეობას — იბრძოლონ ბრაკონიერობის წინააღმდეგ, მოსპონ მავნე მტაცებლები, დაიცვან სასარგებლო გარეული ნადირ-ფრინველი, ხელი შეუწყონ მათ გამრავლებას და პოპულარიზაცია გაუწიონ ნადირობის კულტურას.

13. სანადირო ძაღლების აღრიცხვასა და რეგისტრაციას ახორციელებს საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა კავშირი.

14. სანადირო ბილეთის წარდგენა იმ პირთა მოთხოვნით, რომელთაც ეკისრებათ კონტროლი და ზედამხედველობა სამონადირეო მეურნეობის გაძღოლისადმი, აგრეთვე მონადირეთა მიერ სანადირო ბილეთების ურთიერთწარდგენა სავალდებულოა ყველა მონადირისათვის.

15. მონადირეთა საზოგადოებების წევრებს უფლება აქვთ ინადირონ ნადირობის დადგენილი წესების დაცვით:

ა) სახელმწიფო სამონადირეო მეურნეობებში — საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს ერთჯერადი ნებართვით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) მიწერილ სამონადირეო მეურნეობებში, თუ ისინი ამ მეურნეობის წევრები არიან, — მიწერილი მეურნეობის დირექციის ნებართვით;

გ) სხვა სამონადირეო ორგანიზაციათა მიწერილ სამონადირეო მეურნეობებში — მიწერილი მეურნეობის დირექციის ნებართვით;

დ) სახელმწიფო სარეზერვო სამონადირეო ფონდის სავარგულებში.

შენიშვნა: ლიცენზიების მიხედვით ნადირობა წარმოებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 10 აგვისტოს № 536 დადგენილებით დამტკიცებული სალიცენზიო ნადირობის დებულების თანახმად.

16. ნადირობად ითვლება გარეული ნადირ-ფრინველის თვალთვალი მათი მოპოვების მიზნით, დევნა და თვით მოპოვება.

სანადირო სავარგულებში ყოფნა იარაღით, დაგეშილი ფრინველებით, ხაფანგებით ან ნადირობის სხვა იარაღებით, აგრეთვე ნადირობის შედეგად მოპოვებული პროდუქციით ნადირობას უთანაბრდება.

17. უკანონო ნადირობად (ბრაკონიერობად) ითვლება ნადირობა:

ა) როდესაც მონადირეს არა აქვს სანადირო ბილეთი ან აქვს ძალადაკარგული (ვადაგასული, რომელზეც აღნიშნული არაა სახელმწიფო ბაჟის გადახდა) სანადირო ბილეთი, ან აქვს სხვა მონადირის ბილეთი, აგრეთვე მილიციის ორგანოებში არარეგისტრირებული სანადირო თოფი;

ბ) აკრძალულ ვადებში;

გ) აკრძალულ ადგილებში;

დ) მოსაპოვებლად აკრძალულ სახეობათა ნადირ-ფრინველზე;

ე) აკრძალული იარაღებითა და საშუალებებით;

ვ) იმ ტერიტორიისათვის დადგენილი ნადირობის წესების დარღვევით, რომელზეც ნადირობა წარმოებს.

18. აკრძალულია:

ა) ნადირ-ფრინველის დაჭერა ტყვეობაში შესანახად, ზოოპარკების, ზოობაღებისა და ზოომაღაზიების გარდა;

ბ) ნადირ-ფრინველის მოპოვება უმწეო მდგომარეობაში ყოფნისას (გადადიან წყალზე ან ყინულზე, თავს იცავენ ხანძრისა და წყალდიდობისაგან, დაუძლურებული არიან უჭმელობით, გადადიან დიდ თოვლში და ა. შ.), სასარგებლო გარეული ნადირ-ფრინველის ბუდეების, სოროებისა და ბუნაგების მოშლა;

გ) სასარგებლო გარეული ნადირ-ფრინველის გამოდევნება თვითმფრინავებით, ავტომანქანებით, მოტოციკლებით, მათთვის ტყვიის სროლა ფარებისა და სხვა გამანათებელი ხელსაწყოების შუქზე;

დ) თოფებისა და სხვა თვითსასროლი იარაღების, სხვადასხვაგვარი ხაფანგების, ორმოებისა და პოსტების მოწყობა, დიდი ხაფანგების დადგმა გამაფრთხილებელი ნიშნების გარეშე (მგლებზე და სხვა მტაცებლებზე);

ე) შხამის გამოყენება გარეული ნადირ-ფრინველის მოსასპობად, სპეციალური ინსტრუქციით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ) ყოველგვარი (როგორც ცოცხალი, ისევე მოკლული) ნადირ-ფრინველის გაყიდვა ქუჩებში, ბაზრებში, მოედნებზე და საერთოდ ხელზე.

ნადირ-ფრინველის ხორცი ჩაბარდება დამამზადებელ ან სავაჭრო ორგანიზაციებს შესასყიდ ფასებში;

ზ) ნადირ-ფრინველის და ბეწვიანი ნადირის ახლადგახდილი ტყავის გადაცემა მათზე ნადირობის ვადის დამთავრებიდან ხუთი დღის შემდეგ;

თ) კერძო პირთა მიერ დამუშავება, უკანონო შესყიდვა, გაყიდვა, გაცვლა ძვირფასბეწვიანი ნადირის გამოუქნელი და გამოქნილი ტყავისა, რომელსაც არა აქვს სახელმწიფო დამღა (შტამპი) და რომელიც აუცილებლად უნდა ჩაბარდეს სახელმწიფოს;

ი) საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატებისა და ატელიეების მიერ ცალკეულ მოქალაქეთაგან გადასამუშავებლად და შესაღებად მიღება ბეწვიანი ნადირის გამოუქნელი, აგრეთვე გამოქნილი, მაგრამ სახელმწიფო დამღადაუსმელი (შტამპდაუსმელი) ტყავისა, რომელიც აუცილებლად უნდა ჩაბარდეს სახელმწიფოს,

კ) ორგანიზაციების მიერ ჯიხვის, ირმისა და სხვა ჩლიქოსან ნადირთა რქების გადასამუშავებლად მიღება ყოველ ცალკეულ შემთხვევაში საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს ნებართვის გარეშე;

ლ) ნადირობა საქართველოს სსრ შემდეგი ქალაქებისა და კურორტების გარშემო: თბილისი — ქალაქის საზღვრიდან 15-კილომეტრიანი ზონის ფარგლებში; სოხუმი — ქალაქის საზღვრიდან 5 კილომეტრი რადიუსით; ბათუმი, ცხინვალი და ქუთაისი — ქალაქის საზღვრიდან 3 კილომეტრი რადიუსით; რუსთავი, ჭიათურა, ტყიბული და ზესტაფონი — ქალაქის საზღვრიდან 2 კილომეტრი რადიუსით; გაგრა, წყალტუბო და ქობულეთი — ქალაქის საზღვრიდან 2 კილომეტრი რადიუსით;

მ) სახელმწიფო ნაკრძალებსა და სამონადირეო აღკვეთილებში.

19. სახელმწიფო ეგერებს, სამონადირეო მეურნეობათა ეგერებს და სახელმწიფო სამონადირეო ზედამხედველობის ადგილობრივი ორგანოების სპეციალური ნებართვით აღჭურვილ პირებს უფლება ეძლევათ მთელი წლის განმავლობაში მოკლან და დაიჭირონ მგელი, ტურა, მელა (სამონადირეო მეურნეობებში), ენოტისებრი ძაღლი, აგრეთვე მოხეტიალე ძაღლები და კატები. დანარჩენ მონადირეებს უფლება ეძლევათ მოკლან მგელი და ტურა საერთოდ დაწესებული ნადირობის ვადებში რაოდენობის შეუზღუდავად, ხოლო დაიჭირონ ხაფანგით და მოსპონ უიარაღოდ — მთელი წლის განმავლობაში.

20. ნადირობის დროს გარეული ნადირ-ფრინველის მოკვლის ვადები, აგრეთვე ნორმები წესდება საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს მიერ და ქვეყნდება რესპუბლიკის ცენტრალურ გაზეთებში ყოველწლიურად.

21. სახელმწიფო და მიწერილ სამონადირეო მეურნეობებში ნადირ-ფრინველის დაჭერა მათ გასავრცელებლად რესპუბლიკის შიგნით ან ზღვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარკებისა და ზოობაღებისათვის წარმოებს საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს მიერ დამტკიცებული გეგმის შესაბამისად.

22. სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო მიზნებისათვის ნადირ-ფრინველის მოპოვება წარმოებს საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს ნებართვით ფასიანი ლიცენზიების მიხედვით სამეცნიერო-კვლევითი, სასწავლო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების დასაბუთებულ შუამდგომლობათა საფუძველზე.

23. ნადირობა ძვირფას სახეობათა გარეულ ნადირ-ფრინველზე წარმოებს მხოლოდ ფასიანი ლიცენზიების მიხედვით, რომელთაც გასცემს საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველო.

24. ლიცენზიების გაცემის, გამოყენებისა და მათ გამო ანგარიშგების შედგენის წესს განსაზღვრავს საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველო სალიცენზიო ნადირობის დებულების შესაბამისად.

25. „ნადირობის წესების დარღვევის, სახელმწიფოსათვის ძვირფასბეწვიანი ტყავის სავალდებულო ჩაბარებისაგან თავის არიდების, მისი უკანონო შესყიდვის, გაყიდვის, გაცვლისა და გადამუშავების გამო პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 15 მაისის ბრძანებულების შესაბამისად ნადირობის წესების დარღვევა იწვევს ჯარიმას 50 მანეთამდე მთელი ნანადირევისა და სანადირო თოფის კონფისკაციით, ღიირებულების აუნაზღაურებლად.

ნადირობის წესების დარღვევისათვის ჯარიმას ახდევინებენ საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველო და მისი საქვეუწყებო სახელმწიფო სამონადირეო ინსპექცია, თუ ეს ქმედობა თავისი ხასიათით არ იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

26. უკანონო ნადირობისათვის კონფისკებული პროდუქცია და იარაღები ყველა შემთხვევაში რეალიზებულ უნდა იქნეს დადგენილი წესით.

კონფისკებული პროდუქციისა და უკანონო ნადირობის ჩამორთმეული იარაღების რეალიზაციით მიღებული თანხები, აგრეთვე ნადირობის წესების დარღვევისათვის გადახდევინებული ჯარიმის თანხები ჩაირიცხება საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს სპეციალურ ანგარიშზე, რომელიც მოვალეა ამ თანხის 50 პროცენტი გადარიცხოს სახელმწიფო ბიუჯეტში.

27. საერთო სარგებლობის სამონადირეო სავარგულებში გარეული ნადირ-ფრინველის მოპოვებისათვის გაცემული ლიცენზიების რეალიზაციით შემოსული სახსრები გადაეცემა საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს განკარგულებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის მიწერილ სამონადირეო მეურნეობებში მოპოვებულ ნადირ-ფრინველზე ნადირობისას ლიცენზიების ღირებულების 50 პროცენტი რჩება იმ მიწერილ მეურნეობას, რომელშიც გათვალისწინებულია ნადირ-ფრინველის მოპოვება, ხოლო 50 პროცენტი გადაერიცხება საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს სამონადირეო მეურნეობის მთავარ სამმართველოს.

მიწერილ მეურნეობებში შეყვანილი ახალი სახეობების ნადირ-ფრინველის მოპოვების ნებართვის ღირებულება მთლიანად რჩება მიწერილ მეურნეობაში.

უკანონო შესყიდვის, გაყიდვისა და გადამუშავებისათვის კონფისკებული ბეწვიანი ნადირის ტყავის რეალიზაციით მიღებული თანხები, აგრეთვე საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატებისა და ატელიეების მიერ გადასამუშავებლად და შესაღებავად მიღებული სახელმწიფო დამღადაუსმელი (შტამპდაუსმელი) და სახელმწიფოსათვის სავალდებულოდ ჩასაბარებელი ბეწვიანი ნადირის ტყავის რეალიზაციით მიღებული თანხები საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს ანგარიშზე არ ჩაირიცხება.

ორგანიზაციები, რომლებმაც მიიღეს ტყავი სარეალიზაციოდ, ამ თანხებს ჩარიცხავენ უშუალოდ რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავალში.

28. ნადირობა სათანადო ნებართვის გარეშე ან აკრძალულ ადგილებში, ანდა აკრძალულ ვადებში, აკრძალული იარაღებითა და საშუალებებით, თუ ეს ქმედობა ჩადენილია ასეთივე დარღვევისათვის ადმინისტრაციული ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების შემდეგ, იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 177 მუხლის I ნაწილით.

ნადირობა სახელმწიფო ნაკრძალებისა და აღკვეთილების ტერიტორიაზე ან ავტომოტოსატრანსპორტო საშუალებათა გამოყენებით, ანდა ნადირობა იმ ნადირ-ფრინველზე, რომელზეც ნადირობა მთლიანად აკრძალულია, ანდა უკანონო ნადირობა, რომელმაც დიდი ზარალი გამოიწვია, იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 177 მუხლის II ნაწილით.

29. მოქალაქენი და თანამდებობის პირნი, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მიუხედავად, აგრეთვე საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომელთაც დაუშვეს ნადირობის წესების დარღვევა, მოვალენი არიან აანაზღაურონ სახელმწიფო სამონადირეო ფონდისათვის მიყენებული მატერიალური ზარალი შემდეგი ოდენობით:

ნადირ-ფრინველის დასახელება	გადახდევინების ოდენობა ერთ ნადირ-ფრინველზე, მიუხედავად ასაკისა (მანეთი)
ყეთილშობილი ირემი, ნიამორი	1000
ჯიხვი, ქურციკი	500
არჩვი, შველი	300

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნადირ-ფრინველის დასახელება	გადახდევინების ოდენობა ერთ ნადირ-ფრინველზე, მიუხედავად ასაკისა (მანეთი)
გარეული ღორი	200
ჯიქი	500
დათვი	200
ფოცხვერი, აფთარი	100
წავი, კავკასიური წაულა, ჭრელტყავა	100
კვერნა, ნუტრია	50
რუხი ზაზუხელა, ციყვი	20
ღურაჯი, გხოლი, კასპიის შურთხი. კავკასიური როჭო, ხონთქრის ქათამი	100
სავათი, სარსარაკი	60
ფლამინგო	50
ხოხობი, კავკასიური შურთხი, კაკაბი	60
ვარდისფერი ვარხვი, ხუჭუჭა ვარხვი	150
თეთრი ყანჩა	100
მთის არწივი, ველის არწივი, თეთრკუდა ფსოვი, კრავიჭაშია, ძერაბოტი, შევარდენი	50
გავაზი	15
ყველა დანარჩენი სასარგებლო ნადირ-ფრინველი	10
სასარგებლო ნადირ-ფრინველის ბუდეების, სოროებისა და ბუნაგების მოშლა	10

მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად შემოსული თანხები მთლიანად გადაერიცხება საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს სამონადირეო მეურნეობის მთავარ სამმართველოს; ბიუჯეტის შემოსავალში ეს თანხები არ ჩაირიცხება.

30. უკანონოდ მოპოვებული პროდუქციის რეალიზაციისა და გადახდევინებული ჯარიმებისაგან და მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად მიღებული სახსრები ჩაირიცხება საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს სპეციალურ ანგარიშზე და გამოიყენება შემდეგნაირად:

— ჯარიმების გადახდისაგან შემოსული თანხის 40 პროცენტი და სამონადირეო მეურნეობისათვის მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად შემოსული თანხის 20 პროცენტი დაიხარჯება იმ პირთა პრემირებისათვის, რომელთაც გამოავლინეს დარღვევა;

— დანარჩენი თანხა დაიხარჯება სამონადირეო მეურნეობებში ორგანიზაციულ-მასობრივ, კვლავწარმოებით და ბიოტექნიკურ ღონისძიებათა განსახორციელებლად.

31. სამონადირეო მეურნეობის მუშაკებს, რომლებიც ახორციელებენ ნადირობის წესების დაცვისადმი ზედამხედველობის და სამონადირეო მეურნეობის გაძღოლის ფუნქციებს, მიეცემათ ფორმის ტანსაცმელი „ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის და „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის მიღებასთან და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა შეცვლისა დ[illegible]ლადაკარგულად ჩათვლის თაობაზე“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 5 იანვრის № 3 დადგენილების თანახმად.

32. საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს მუშაკებს, სახელმწიფო სამონადირეო მეურნეობათა მუშაკებს (საანგარიშო დარგისა და ტექნიკური პერსონალის გარდა), ნადირობის სახელმწიფო ინსპექტორებს, ნადირობისმცოდნეებს უფლება ეძლევათ ატარონ პისტოლეტი, ხოლო ნადირობის სახელმწიფო ეგერებს — კარაბინი.

33. სახელმწიფო სამონადირეო ფონდის დაცვასა და ამ დებულების შესრულებისადმი ზედამხედველობას ახორციელებენ საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველო, საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა კავშირი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სრულიად საარმიო სამხედრო-სამონადირეო საზოგადოება, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები.

---

34 „საქართველოს სს რესპუბლიკაში სპეციალური წყალსარგებლობის ნებართვის შეთანხმებისა და გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 18 იანვრის № 31 დადგენილებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე

„სპეციალური წყალსარგებლობის ნებართვის შეთანხმებისა და გაცემის წესის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 10 ივნისის № 500 დადგენილებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 11 თებერვლის № 105 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. შეტანილ იქნეს „საქართველოს სს რესპუბლიკაში სპეციალური წყალსარგებლობის ნებართვის შეთანხმებისა და გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 18 იანვრის № 31 დადგენილებაში შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი:

ა) მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ახლად მშენებარე საწარმოების, ნაგებობებისა და სხვა ობიექტებისათვის სპეციალური წყალსარგებლობის ნებართვა პროექტების შემკვეთებს მიეცემათ ობიექტების დაპროექტების პროცესში პროექტების დამტკიცებამდე. ამასთან სპეციალური წყალსარგებლობის ნებართვის მიმცემი ორგანოების თანამდებობის პირები მონაწილეობენ აღნიშნული ობიექტების განლაგების ადგილის წინასწარ შეთანხმებაში.

№ 2
ეროვნული
ბიბლიოთეკა

თუ დაპროექტების ან პროექტების დამტკიცების პროცესში წარმოიშობა გაცემულ ნებართვაში აღნიშნული პირობებისაგან გადახვევის საჭიროება, პროექტის შემკვეთმა უნდა მიიღოს ახალი ნებართვა სპეციალური წყალსარგებლობისათვის“;

ბ) მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„წყლების მდგომარეობაზე ზეგავლენის მომხდენი საწარმოების, ნაგებობებისა და სხვა ობიექტების პროექტების დამტკიცება, მათი მშენებლობის ან წყლის მოხმარების, ჩამდინარი წყლების ჩაშვების გადიდებასთან ან მათი ხარისხობრივი შედგენილობის გაუარესებასთან დაკავშირებული რეკონსტრუქციის დაფინანსება განხორციელდება მხოლოდ იმ პირობით, თუ სპეციალური წყალსარგებლობის ნებართვა გაცემულია ამ დადგენილების 1-ლ და მე-2 პუნქტებში აღნიშნული ორგანოების მიერ“;

გ) მე-11 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა შეიმუშაონ სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ სპეციალური წყალსარგებლობის განმხორციელებელი მათი საქვეუწყებო საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების, აგრეთვე საზოგადოებრივი და კოოპერაციული ორგანიზაციების და მოქალაქეების მიერ ამ წყალსარგებლობის ნებართვის მიღებას 1986 წლამდე.

საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტმა დააწესოს იმ წყლის ობიექტებით სარგებლობისათვის ნებართვის გაცემის დამთავრების კონკრეტული ვადები, რომელთა სარგებლობის რეგულირება არ განეკუთვნება სსრ კავშირის კომპეტენციას“.

3. სიტყვები: „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტი“ და „საქართველოს გეოლოგიის საწარმოო სამმართველო“ შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით: „საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი“ და „საქართველოს სსრ გეოლოგიის სამმართველო“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1982წ., 29 აპრილი, № 311

ეროვნული ბიბლიოთეკა
ინდექსი—76187

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 2, 1982 წელი

გამომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 23/IX-82 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/16,
საბეჭდი თაბახი 2,5, სააღრიცხვო თაბახი 2.5

შეკვეთა № 789 უე 05710 ტირაჟი 1580

საქართველოს სსრ მს ?თავარი სამეურნეო სამმართ. სტამბა

618/187

ეროვნული
ბიბლიოთეკა